მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

შენიშვნები დაბა ფასანაურის განაშენიანების გეგმის კონცეფციაზე

22 აპრილი, 2026

1.კონცეფციის მომზადების პროცესში ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების ნაკლოვანებები

კონცეფციის დოკუმენტის მე-3 თავში - „მეთოდოლოგია და სამუშაო პროცესების შეფასება“, აღნიშნულია: „მონაცემთა შეგროვება და სახელმწიფო უწყებების მონაწილეობა და როლი გეგმის კონცეფციის ეტაპზე: მტკიცებულებების არსებული ბაზა გაფართოვდა დამატებითი სივრცითი და სექტორული მონაცემების შეგროვებით. მონაცემები მიღებულ იქნა ცენტრალური და ადგილობრივი უწყებებიდან, მათ შორის სამინისტროებიდან, ძირითადი სააგენტოებიდან და პროექტის პარტნიორებისგან. აღნიშნული მონაცემები მოიცავს განახლებულ ინფორმაციას სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის, **დაგეგმილი და დადასტურებული პროექტების**, გარემოსდაცვითი შეზღუდვების, საკუთრების სტრუქტურის და ადმინისტრაციული საზღვრების შესახებ. ასეთი ინსტიტუციური მონაცემების ინტეგრაცია უზრუნველყოფს გეგმის კონცეფციაში მიმდინარე პოლიტიკის, პარალელური გეგმარებითი პროცესებისა და საჯარო ინვესტიციების პრიორიტეტების ასახვას“.

დოკუმენტის მე-4 თავში - „დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ღონისძიებები“, აღნიშნულია: „ჩატარებული შეხვედრებისა დისკუსიების შედეგებმა ცხადყო ფასანაურის მოწყვლადობა წყალდიდობების მიმართ, ინფრასტრუქტურული ნაკლოვანებები და დაგეგმილ შემოვლით გვირაბთან დაკავშირებული კითხვები. ინსტიტუციურმა უკუკავშირმა დაადასტურა ფრთხილი, იდენტობაზე დაფუძნებული და **სახელმწიფო ინსტიტუტებთან მჭიდრო კოორდინაციით** განვითარების საჭიროება, განსაკუთრებით კი მასშტაბური ინფრასტრუქტურული და მობილობის პროექტების მიმართულებით“.

აღნიშნულის მიუხედავად, კონცეფციის ერთერთ საკვანძო საკითხზე - ხანდო-ფასანაურის შემოვლითი გზის პროექტზე სრულიად შეუსაბამო ინფორმაციაა წარმოდგენილი. კერძოდ, კონცეფციის თანახმად, გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების გადამისამართებისათვის დადასტურებულია შემოვლითი გვირაბის მშენებლობა. სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან, ან სსიპ ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთან კომუნიკაციის შემთხვევაში

greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

დოკუმენტის ავტორები გაარკვევდნენ, რომ გვირაბის მშენებლობა ამ ეტაპზე ხანდო-ფასანაურის შემოვლითი გზის პროექტის მხოლოდ ერთერთი ალტერნატივაა.

2. ხანდო-ფასანაურის შემოვლითი გზის პროექტის მიმდინარე სტატუსი

2023 წლის 21 ივლისს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა N2-08/11644 წერილით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და აცნობა, რომ დეპარტამენტი გეგმავდა საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-3) მცხეთა-სტეფანწმინდა ლარსის საავტომობილო გზის - ხანდო-ფასანაურის შემოვლითი გზის რეკონსტრუქცია/მშენებლობის პროექტების განხორციელებას და ამ მიზნით განსახილველად წარმოადგინა - ხანდო-ფასანაურის შემოვლითი გზის სკოპინგის ანგარიში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, სკოპინგის პროცედურა განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის (გზშ) მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს. ამასთან, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე წარუდგინოს სააგენტოს სკოპინგის ანგარიში, რათა დროულად მოხდეს პროექტის ყველა შესაძლო ალტერნატივის იდენტიფიცირება, შესწავლა და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ყველაზე მისაღების გამოვლენა.

წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში ხანდო-ფასანაურის შემოვლითი გზის ადგილმდებარეობის ალტერნატივების შესახებ ინფორმაციიდან ირკვეოდა, რომ წარმოდგენილი 5 ალტერნატივის შერჩევა, შედარება და სასურველის გამორჩევა მოხდა კომპანია IDOM-ის მიერ მომზადებული ჟინვალი–ლარსის საავტომობილო გზისათვის მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთების დოკუმენტში. თუმცა, თავად ეს დოკუმენტი, გაუგებარი მიზეზებით, არ იყო ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. ხოლო, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ვერ იძლეოდა ნათელ სურათს ალტერნატივების შესადარებლად.

2023 წლის 17 აგვისტოს გამართულ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე ნათლად გამოიკვეთა, რომ შპს გამა კონსალტინგის მიერ წარმოდგენილი ალტერნატივების ანალიზმა არაერთი კითხვა გააჩინა ადგილობრივ მოსახლეობაში. მოქალაქეებმა ეჭვი გამოთქვეს გეოლოგიური კვლევების სანდოობაში, რადგან დასკვნები ეწინააღმდეგებოდა მათ ადგილზე არსებული სიტუაციის შესახებ ცოდნას და გამოცდილებას. ფასანაურის მოსახლეობამ ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები იმავე დღესვე გადააგზავნა გარემოს ეროვნულ სააგენტოში. შენიშვნებს ფასანაურის 300-მდე მოსახლე აწერდა ხელს.

საბოლოოდ, 2024 წლის 12 ივლისს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტა სკოპინგის ანგარიშის განხილვისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წერილის თანახმად, შეწყვეტის მიზეზი დაინტერესებულ მხარეებთან დამატებითი კონსულტაციების საჭიროება იყო. ამასთან დეპარტამენტი გეგმავდა სკოპინგის განახლებული ანგარიშის წარდგენას. თუმცა, უკვე მეორე წელია პროცესს გაგრძელება არ მოჰყოლია. შესაბამისად, ამ პროცედურის გავლის გარეშე ვერ მოხდებოდა პროექტის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე მსჯელობაც.

2023 წლის 21 ივლისს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვის ამსახველი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

როგორც მოგეხსენებათ, „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #257 დადგენილების 50-ე მუხლის ჰ) ქვეპუნქტის თანახმად, პროექტი შეეხება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობას, რომელიც ხასიათდება რისკის მომეტებული ფაქტორით. ასევე, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა შედის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართით გათვალისწინებული საქმიანობების ჩამონათვალში, როგორც საქმიანობა, რომლის განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე.

ამდენად, საავტომობილო გზების დეპარტამენტი უკვე წლებია გეგმავს ხანდო-ფასანაურის შემოვლითი გზის მშენებლობას, მაგრამ სკოპინგის დასკვნის მოპოვება, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და მშენებლობის ნებართვა მოპოვება ის აუცილებელი პროცედურებია, რომლის საშუალებითაც მიიღება გადაწყვეტილება პროექტის მარშრუტის და განხორციელების საშუალებების შესახებ.

იმის შესახებ, რომ შემოვლითი გზის პროექტის გვირაბის მეშვეობით განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული, უთითებს გარემოს ეროვნული სააგენტოც „ფასანაურის, ბარისახოს და როშკას განაშენიანების გეგმების კონცეფციაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ 2026 წლის 8 აპრილის N 235/ს ბრძანებით დამტკიცებულ დასკვნაში. კერძოდ, სკოპინგის დასკვნაში მითითებულია: **„აღნიშნულში იგულისხმება შემოვლითი გვირაბის მშენებლობა, რომელიც გვერდს აუვლის ფასანაურს და რომლის მშენებლობაც იგეგმება საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ. ამ ეტაპზე აღნიშნულ პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაცემული არ არის, თუმცა დოკუმენტის თანახმად, შემოვლითი გვირაბის მშენებლობის საკითხი დადასტურებულია.“** გასაკვირია, რომ განაშენიანების გეგმების კონცეფციაზე მუშაობისას ვერ მოხდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსებული ინფორმაციის შესწავლა, ან თუნდაც სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან პროექტის სტატუსის გარკვევა.

3. არასწორის დასკვნების რისკი

საინტერესოა, რომ შემოვლითი გზის პროექტის შესახებ არასწორი ინფორმაციის დამუშავებისა და გამოყენების ფონზე კონცეფციის ავტორი იქეთ უთითებენ არასრული ინფორმაციის ან არასწორი ინტერპრეტაციის რისკებზე:

„მონაწილეების ჩართულობისთვის კომუნიკაცია განხორციელდა პირდაპირი სატელეფონო მოწვევებისა და ფასანაურის Facebook ჯგუფში განთავსებული საინფორმაციო პოსტის მეშვეობით. პოსტმა მნიშვნელოვანი ჩართულობა გამოიწვია: შეხვედრამდე დაახლოებით 50-60 რეაქცია მიიღო, შემდგომ კი - თითქმის 200 კომენტარი და 6000-მდე ნახვა. აღნიშნულმა ნათლად აჩვენა საზოგადოების მაღალი ინტერესი, თუმცა ასევე ხაზი გაუსვა არასრული ინფორმაციის ან არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე უარყოფითი დამოკიდებულებების რისკს - განსაკუთრებით ისეთი

რთული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ სრული ინფორმაციის არარსებობის პირობებში, როგორიცაა შემოვლითი გვირაბი“(გვ.19).

იქვე:
„პარალელურად, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი შემოვლითი გვირაბის პროექტის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი არასაკმარისი ინფორმაცია ხელს უწყობდა უნდობლობას როგორც დაგეგმვის პროცესის, ისე თავად კონცეფციის მიმართ“.

4. საკითხის სწორად ფორმულირების მნიშვნელობა

ფასანაურში დასახლებული ტერიტორიიდან სატრანსპორტო ნაკადის მაქსიმალურად მოცილება და ხანდო-ფასანაურის შემოვლითი გზის მშენებლობის აუცილებლობას არ სჭირდება განსაკუთრებული დასაბუთება, მაგრამ ამ მიზნისთვის გვირაბის მშენებლობის შემოთავაზება და მითუმეტეს გადაწყვეტილ საკითხად წარმოჩენა სცილდება კონცეფციის ავტორთა კომპეტენციას. შემოვლითი გზის მშენებლობის საკითხის გადაწყვეტას სულ სხვა დონის გადაწყვეტილებაა და ამისთვის არსებობს შესაბამისი პროცედურა, რომელიც პროექტმა უნდა გაიაროს. მიგვაჩნია, რომ კონცეფციაში საკითხის ქვემოთ მოცემული ფორმით განხილვა დაუშვებელია და ამ დოკუმენტში, მხოლოდ, ხანდო-ფასანაურის შემოვლითი გზის (და არა უკვე შერჩეული ალტერნატივის - გვირაბის) მშენებლობის აუცილებლობაზე შეიძლება იყოს საუბარი.

- თავი. ბ.2/ „სივრცითი ლოგიკა და რეალიზაცია კონცეფციის ეტაპზე“

„კონცეფციის მნიშვნელოვანი კომპონენტია მობილურობის სისტემის გაუმჯობესება, რომელიც ითვალისწინებს **სატრანზიტო ნაკადების გვირაბში გადამისამართებას** და დასახლებაში ქვეითთა გადაადგილების უპირატესობას. ეს მიდგომა დეტალურად არის წარმოდგენილი შესაბამის ქვეთავში და განიხილება, როგორც ფასანაურის სივრცითი ორგანიზებისა და საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი.

- თავი. ბ.3/ მობილობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სტრატეგია

ტრანზიტული მოძრაობის გადამისამართება და დაბის ცენტრის გარემოს გაუმჯობესება
 შემოვლითი გვირაბის როლი

შემოვლითი გვირაბის მშენებლობა დადასტურებულია და წარმოადგენს ფასანაურის მობილობის სისტემაში მნიშვნელოვან სტრუქტურულ ჩარევას. გვირაბი სატრანზიტო მოძრაობის, განსაკუთრებით სატვირთო მანქანების, უმეტეს ნაწილს ქალაქის ცენტრიდან გადაამისამართებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მოძრაობის მოცულობას, ხმაურს და უსაფრთხოების რისკებს შოთა რუსთველის ქუჩაზე და მთლიანად ცენტრალურ ზონაში. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული შიდა ქუჩების მოწყობის სქემა დამოკიდებულია შემოვლითი გვირაბის მშენებლობაზე. ქალაქში მოძრაობის გადამისამართება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც გვირაბი ექსპლუატაციაში შევა და სატრანზიტო მოძრაობის უმეტესი ნაწილი გადამისამართდება. ეს თანმიმდევრობა პირდაპირ პასუხობს ადგილობრივი თემის მიერ უსაფრთხოებისა და საგზაო მოძრაობის წნეხის შესახებ გამოთქმულ შეშფოთებას. გვირაბის აშენების შემდეგ, სატრანზიტო მოძრაობა უფრო ეფექტურად შეძლებს ს-3 დერეფანში გადაადგილებას ქალაქის ცენტრის გავლის გარეშე, მაშინ როდესაც ამჟამინდელ პირობებში სატრანსპორტო საშუალებები, მათ შორის სატვირთო მანქანები, იძულებული არიან გაიარონ დასახლება, რაც ქმნის საშიშ სიტუაციებს და აზიანებს ურბანულ გარემოს“.

- „ მოსახლეობის წუხილები დაა საგზაო უსაფრთხოება

მოსახლეობის შეშფოთებამ საგზაო მოძრაობის რეგულირებასა და საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ცენტრალური როლი ითამაშა მობილობის კონცეფციის ჩამოყალიბებაში. მაცხოვრებლებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი ფასანაურში არსებული საგზაო მოძრაობის პირობებთან დაკავშირებულ საფრთხეებს, განსაკუთრებით სატრანზიტო მოძრაობისა და ქალაქის ცენტრში გამავალი სატვირთო მანქანების რაოდენობას. ამიტომ, ამ პრობლემების მოგვარება შემოთავაზებული მობილობის ღონისძიებების მთავარი პრიორიტეტია.

დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები და პრინციპები:

- **შემოვლითი გვირაბის დადასტურებული მშენებლობა** შიდა მოძრაობის რეორგანიზაციის კრიტიკული წინაპირობაა. გვირაბის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ქალაქის ცენტრში მოძრაობის საერთო მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდება, რაც პირდაპირ აგვარებს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წამოჭრილ უსაფრთხოების ყველაზე აქტუალურ პრობლემას.
- მერაბ კოსტავას ქუჩის ორზოლიანი ცალმხრივი ქუჩიდან ორმხრივ ქუჩად გადაკეთების შემოთავაზებამ მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობა გამოიწვია. ეს შეშფოთება სრულად გაზიარებულია და გამართლებულად ითვლება მიმდინარე პირობებში, სადაც მოძრაობის მოცულობა და შემადგენლობა განსაკუთრებით საშიშია;
- ამიტომ, ხაზგასმულია, რომ ეს ცვლილება მხოლოდ **შემოვლითი გვირაბის დასრულებისა და სატრანზიტო მოძრაობის ქალაქიდან გადამისამართების შემდეგ შეიძლება განხორციელდეს.** ამ პირობებში, დარჩენილი მოძრაობის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდება და ორმხრივი ქუჩა, რომელსაც თითოეულ მიმართულებით ერთი ზოლი აქვს, უსაფრთხოდ იფუნქციონირებს;“

- არაგვის მარცხენა სანაპიროსთან კავშირი

„ახალი ხიდების მშენებლობის ადრე შემოთავაზებული გეგმა ამოღებულია კონცეფციიდან, რადგან ინფრასტუქტურის სამინისტროს მიერ **დაგეგმილი შემოვლითი გვირაბი** და მასთან დაკავშირებული საგზაო ინფრასტრუქტურა ფასანაურის სამხრეთ ნაწილში, მდინარის ნაპირის გასწვრივ გაივლის, რაც დამატებითი გადასასვლელებისათვის ადგილს არ დატოვებს“.

- 6/ ტურიზმის სტრატეგიის განვითარება

მოკლევადიანი შესაძლებლობების მიღმა, ფასანაურის ისტორიული კურორტის ფუნქციის აღდგენა გრძელვადიანი განვითარების მიზანს წარმოადგენს. **ამ ამბიციის მიღწევა დამოკიდებულია შემოვლითი გვირაბის მშენებლობაზე**, რომელიც დასახლებას მძიმე სატრანზიტო მოძრაობიდან გაათავისუფლებს. ეს არის კაპიტალ ტევადი ჩარევა, რომელიც ცენტრალური მთავრობისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტის უფლებამოსილების ქვეშაა. **გვირაბის აშენებამდე, კურორტის განვითარების შესაძლებლობები შეზღუდული რჩება. <u>თუ და როდესაც</u> შემოვლითი გვირაბი დამტკიცდება,** პრიორიტეტულად უნდა ჩატარდეს კურორტის დაგეგმარების სპეციალური კვლევა, რათა წარიმართოს კურორტის ეტაპობრივი განვითარება და კოორდინირებული ინვესტიციები.

მოკლევადიანი შესაძლებლობების ფარგლებს მიღმა, ფასანაურის ისტორიული საკურორტო ფუნქციის აღდგენა წარმოადგენს გრძელვადიან განვითარების სტრატეგიულ მიზანს. ამ ტრანსფორმაციის ფუნდამენტურ წინაპირობას წარმოადგენს შემოვლითი გვირაბის მშენებლობის გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს მძიმე სატრანზიტო მოძრაობის დასახლების სივრციდან გამოტანას და შექმნის მისაღებ გარემოსდაცვით პირობებს,

უსაფრთხოების დონესა და საკურორტო ხასიათს. გვირაბის მშენებლობის შემთხვევაში ფასანაურს რეალური შესაძლებლობა ეძლევა საკურორტო განვითარების მიმართულებით მიზანმიმართული ნაბიჯების გადადგმისთვის. შესაბამისად, პრიორიტეტულად უნდა განხორციელდეს სპეციალიზებული საკურორტო დაგეგმვის კვლევა, რომელიც უზრუნველყოფს საკურორტო განვითარების ეტაპობრივი მოდელის ჩამოყალიბებას, მიწათსარგებლობის სტრუქტურირებასა და კოორდინირებული **ინვესტიციების დაგეგმვას გვირაბის ამოქმედების შემდგომი პირობების გათვალისწინებით**".

5. პრიორიტეტული საინვესტიციო გეგმა

კონცეფციის პრიორიტეტული საინვესტიციო გეგმის „მყარი" საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალშია - „მობილობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (შემოვლითი გვირაბის ინტეგრაცია)". პროექტის საჭიროების აღწერა სრულად შეესაბამება რეალობას:

„შემოვლითი გვირაბი წარმოადგენს მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლის მიზანია S-3 საავტომობილო გზის სატრანზიტო მოძრაობის ძირითადი ნაწილის ფასანაურის ცენტრიდან გადამისამართება. მისი მშენებლობის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდება მძიმე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, ხმაური და გადატვირთულობა მთავარ ქუჩაზე; შედეგად, გაუმჯობესებდა საცხოვრებელი გარემო როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ვიზიტორებისთვის. პროექტი დაბისთვის გარდამტეხ ეტაპს წარმოადგენს, რადგან S-3 მაგისტრალის გასწვრივ ჩამოყალიბებული ქუჩის სივრცე გარდაიქმნება უფრო მშვიდ, ფეხით მოსიარულეებზე ორიენტირებულ გარემოდ. ტრანსპორტის გადამისამართების პარალელურად, ფასანაურისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს, ვიზიტორებისთვის დაბის სივრცეებზე მარტივ წვდომას. მკაფიო საგზაო ნიშნები და ქუჩებს შორის მოსახერხებელი კავშირები ხელს შეუწყობს ვიზიტორთა დაბაში გაჩერებას, რაც თავის მხრივ გააძლიერებს ადგილობრივ ბიზნესსა და ტურიზმს".

თუმცა, პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ქმედებების აღწერისას კვლავ ჩნდება გვირაბის მშენებლობას გეგმა, რომელიც არ არის დადასტურებული არცერთი კომპეტენტური უწყების მიერ.

6. გრაფიკული ალბომი

კონცეფციის დოკუმენტის თანახმად, „დადასტურებული" გვირაბის მარშრუტი დატანილია ალბომში წარმოდგენილ რუკებზე, თუმცა უცნობია რა არის ამ მარშრუტის სისწორის წყარო.

7. ტექნიკური ხარვეზი

დაბა ფასანაურის განაშენიანების გეგმის კონცეფციის მე-2 გვერდზე აღნიშნულია, რომ ეს დოკუმენტი არის - სოფელ ბარისახოს განაშენიანების გეგმის კონცეფცია. მნიშვნელოვანია გასწორდეს ეს ტექნიკური ხარვეზი, რადგან, ვინაიდან ფასანაურის, ბარისახოსა და როშკას განაშენიანების გეგმები ერთდროულად განიხილება, დოკუმენტების სიმრავლეში რთულია მათი დანიშნულების გარკვევა.